



დასრულებულია  
დასრულებულია


დასრულებულია

რედაქტორი: აკაკი ბიძინაშვილი

მხატვარი: გიორგი (ჟორა) კუსრაშვილი

დიზაინერები: შალვა მურადაშვილი  
კახაბერ მაისურაძე  
ზვიად ყარაულაშვილი

ფოტო გარეკანზე: შოთა ბინიაშვილისა



ვახტანგ ჭანკოტაძე

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ასეულობით პუბლიცისტური წერილის ავტორი. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, გორის საპატიო მოქალაქე. გამოცემული აქვს 20-ზე მეტი წიგნი. ღირსების მედლის კავალერი.



დარეჯან ჭანკოტაძე

ლიტერატორი (პედაგოგი), მრავალი ლექსის, პიესის, სცენარისა და ნარკვევის ავტორი. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა თელავის პირველი ისტორიული სკოლის დირექტორად. მისი სცენარების მიხედვით დადგმულია სპექტაკლები და შექმნილია მოკლემეტრაჟიანი ფილმები. დ. ჭანკოტაძის რამდენიმე ლექსზე დაწერილია სასიმღერო მუსიკა. ღირსების ორდენის კავალერი. მხატვრულ-შემოქმედებითი კონკურსების მრავალგზის ლაურეატი.

## რელაქტორისაგან

ავტორებისგან შევიტყვე, რომ წინამდებარე წიგნი ეძღვნება კახეთს და კერძოდ კი ქალაქ თელავს და თელაველებს, თუმცა მხატვრული ღირებულებებით იგი საინტერესო და მიმზიდველი იქნება სრულიად საქართველოს წიგნის მოყვარულთათვის.

ავტორებმა მკითხველს წარმოუდგინეს მხოლოდ ნაწილი მათი შემოქმედებისა, რაც კი წლების განმავლობაში სათუთად მიუძღვნიათ თელავისა და თელაველებისათვის.

წიგნში ხატოვნად ცოცხლდებიან გასული საუკუნის 40-50-იანი წლების თელავში თითქმის ლეგენდად ქცეული პიროვნებები: ბენო ესიტაშვილი („სიმაფორა“), ვასილ ბოჭორიძე („კაციაანთ მიხას“ პროტოტიპი), რევაზ ჭანკოტაძე („ალმასა“), კოლა ბაჩიაშვილი და ბესო ვაშაკაშვილი („მილიციონერი ბერდიას“ პროტოტიპები), შაქრო ყურაშვილი (უფროსი „აჭა“, „ტიკჭორა“), საბა სეხნიაშვილი („საბას სარდაფში“) და სხვები.

ზოგიერთ შემთხვევაში პერსონაჟების სახელები გამოგონილია და მოვლენების მიმდინარეობაც – შელამაზებული, რაც მხოლოდ იმის სურვილითაა განპირობებული, რათა წიგნი იკითხებოდეს შედარებით საინტერესოდ.

შეიმჩნევა (განსაკუთრებით ლექსებში) ერთ-ერთი ავტორის (ვ. ჭანკოტაძის) ნოსტალგია თელავისა და თელაველების მიმართ (იგი ნახევარ საუკუნეზე მეტია ცხოვრობს ქ. გორში), რაც ყველა მოკვდავისთვის გასაგები უნდა იყოს – პატარა კახის სამეფო ქალაქი, ზომისი მშობლიური ქალაქიცაა.

იმედს გამოვთქვამ, რომ თელაველი მკითხველი თბილად მიიღებს და-ძმა ჭანკოტაძეების მშვენიერ წიგნს

აკაკი ბიძინაშვილი



მთათუშეთის ულამაზეს სოფელ დიკლოში თბილი სექტემბრის ერთ კვირა დღეს, უჩვეულო საზეიმო განწყობა იგრძნობოდა; ყველა რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში იყო. აჩქარებით მიდიმოდიოდნენ და მერე, იქვე ტყისკენ მიჰქონდათ ქვაბები, თევშები, ტიკჭორები, ყანწები, შამფურები და სხვა. აშკარა იყო, რომ დიდი პურმარილისთვის ემზადებოდნენ. კაცებიც და ქალებიც, შეძლებისდაგვარად, ახალ და სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილიყვნენ და ერთიმეორეს ინტერესით აკვირდებოდნენ. ბავშვების ყრიაშულის ხმა საამო ჰანგებად ეფინებოდა ტყისპირზე მწვანით მოფარდაგებულ მინდორს და თითქოს ეპაექრებოდა იქვე რაკრაკით მოჩუხჩუხე მთის ანკარა ნაკადულს.

ვიღაცამ დაიძახა, – მოდიან, მოდიანო.

ოთხი ცხენოსანი გამოჩნდა ფერდობს აქეთ. სოფლის ეგერი ძუნძულით გაემართა შესახვედრად. თუშური ქუდი მოიძრო კეფიდან, გულთბილად მიესალმა და დაქვეითებულ სტუმრებს მოლზე გაშლილი სუფრის გარშემო შეკრებილი ხალხისკენ გაუძღვა.

– ხალხო, მიმართა ეგერმა თანასოფლელებს, – დილექტორი გვეწვია და აბა, თქვენ იცით, როგორ მასპინძლობას გაუწევთ. არ უნდა შავრცხვეთ.

მთავარი სტუმარი თელავის სატყეო მეურნეობის დირექტორი, „რევაზ ნიკალაევიჩი“ გახლდათ, რომელიც ორ მოადგილესთან და მეგზურთან ერთად ეწვია მთათუშეთს. მისი მიზანი იყო დაეთვალაიერებინა ტყეები, საძოვრები და დეტალურად გაცნობოდა სატყეო მეურნეობაში არსებულ ვითარებას.

შუადღე გადაწურული იყო. საქმე მეორე დღისთვის გადადეს. მორაკრაკე ნაკადულში ხელ-პირი დაიბანეს და მოშიებულებმა სიამოვნებით მიაშურეს ბარაქიან სუფრას. ზოგი ფეხმორთხმით იჯდა,

ზოგი კი მხართეძოზე წამოწოლილიყო. ქალები სუფრის გარშემო დაფუსფუსებდნენ და ახალ-ახალ კერძებს არ აკლებდნენ მაღაზემოსულ მამაკაცებს. გაეგოთ, რომ „რევაზ ნიკალაევიჩი“ ორი წლის დაქვრივებული იყო და ცდილობდნენ მისი ყურადღება მიექციათ.

„რევაზ ნიკალაევიჩის“ ორი შვილი დარჩა ობლად, ვახტანგი და დარეჯანი. თვითონ დღედაღამე ტყეში იყო, ხელმძღვანელობდა ფრონტისთვის შეშის დამზადებას. ბავშვები ნათესავებისა და მეზობლების ანაბარად იყვნენ დარჩენილნი. კვირაში ერთხელ თუ ახერხებდა სახლში ლამის გათევას. ბავშვების ცოდვით იწვოდა და სულ იმის ფიქრში იყო, რა გამოსავალი მოენახა, ან რითი გაეხარებინა პატარები.

მზე ჰორიზონტს უახლოვდებოდა, როცა მოქეიფეები ნელ-ნელა წამოიშალნენ. ვიღაცამ ჩახლეჩილი ხმით წინადადება შეიტანა – ახლა კი დროა ჭიდაობა გავმართოთო. ამის თქმა იყო და ზურნაც აჭყვიპინდა. აქა-იქ ქამრები გაისწორეს და ჩოხის კალთები შეიკეცეს. ანთებული თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს და გამოწვევას ელოდნენ.

რამდენიმე წყვილმა იჭიდავა. იყო ერთი ტაშის კვრა და შექების შეძახილები.

ერთ, დაახლოებით 18-20 წლის ტანსრულ ბიჭს, ცერა თითები ქამარში ჩაეყო და დაბლვერილი იყურებოდა სტუმრებისაკენ.

– რა იყო, რას იბლვირები, – მიამახა ეგერმა.

– დამეჭიდოს, აი ის, ქალაქელი.

– რომელი?

– რომელი და დილექტორი.

ეგერს არ ესიამოვნა ახალგაზრდის ტონი და გამოხედვა, მაგრამ რას იზამდა.

მოკრძალებით მიმართა „რევაზ ნიკალაევიჩს“ – თუ ეჭვიდავებით იმ ბიჭსო.

– პატარაა, მაგას არ ვეჭვიდავები. მონახეთ ვინმე ჩემი ხნისა და

ისეთი, რომ ჭიდაობა შეეძლოს.

ღირექტორს, აბა ვინ გაუბედავდა წინააღმდეგობას. თან დიდი სათხოვარი ჰქონდათ მასთან – საძოვრების გამოყოფას თხოულობდნენ ცხვრისათვის.

ვერა ვინ ბედავდა ღირექტორთან ჭიდაობას, ერიდებოდათ და უკან იხევდნენ. დამხვდურებისათვის შემარცხვენილი სიტუაცია მწიფდებოდა. ამდროს წინ წამოდგა ორმოციოდე წლის, ბრგე აგებულების მწყემსი და დამაჯერებლად განაცხადა – მე დავეჭიდები, მხოლოდ ერთი პირობით; თუ წავაქციე, რასაც მინდა იმას მოვთხოვ, ხოლო თუ მაგან წამაქცია, რაც უნდა ისა მოხვოს, თავს მოვიკლავ და სურვილს შევუსრულებ.

ღირექტორი დათანხმდა.

მწყემსი ფიქრობდა: „თუ წავაქციე, საძოვრის გამოყოფას მოვთხოვ ფარისთვის და უარს ვეღარ მეტყვის“.


„რევაზ ნიკალაევიჩი“ კი ფიქრობდა: „ისეთ რამეს მოვთხოვ, რომ მისთვის უბრალო შესასრულებელი და უმტკივნეულო იყოს“.

ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და დაეჭიდნენ. მეზურნემ ლოყების გვარიანად დაბერვაც კი ვერ მოასწრო, ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი. ღირექტორმა „შუა სარმით“ მიწას გააკრა მწყემსი, უცბადვე მიაშველა ხელი, გადაკოცნა და სუფრისკენ წაიყვანა. ტაშის გრიალმა და ალტაცების შემახილებმა შეარხია ბინდშეპარებული ტყე.

დამარცხებულმა ყანწი შეივსო და ყველას გასაგონად მიმართა ღირექტორს:

– მოხოვე რაც გსურდეს, პირობა პირობაა.

მოქეიფეთა არყოფნაში სუფრას ძაღლის ორი ფუნჩულა ლეკვი დაპატრონებოდა. ხტოდნენ, წკმუტუნებდნენ, ჭიდაობდნენ და ერთმანეთს დასდევდნენ. ხან შამფურს წამოკრეს ფეხი, ხან ხაშლამიანი თევზი ამოატრიალეს და ნახევრადსავსე ჭიქები ერთიანად მოაპირქვავეს. ისეთი ლამაზები, პუტკუნები და ანცები იყვნენ, რომ



ძალაუნებურად შეგაცვარებდნენ თავს.

„რევანზ ნიკალაევიჩმა“ თითი გაიშვირა შუბლზე თეთრლაქიანი ლეკვისკენ და რალაცნაირი დამორცხვებით მიმართა იქ მყოფთ:

– ხალხო, აი ეს ლეკვი მაჩუქეთ, ობოლი პატარა ბიჭი მყავს, გავასწარებ და ბავშვობასაც ცოტა გავუხალისებ.

მენი დასცემოდა მწყემსს, ის ერჩინა, – ოღონდ ლეკვი არ ეთხოვათ. გაფითრებული მუხლებზე დაეცა, ყანწიანი ხელი მკერდზე მიიღო და მუდარით მიმართა ღირეჭტორს:

– ათი წელია მგლებთანმებრძოლი ახალი ჯიშის ძაღლის შეჯვარებაზე ვზრუნავდით, როგორც იყო მიზანს მივალწიეთ, მაგის იმედზე-ლა ვართ, თორემ მტაცებლები მთელ სოფელს აწიოკებენ; ეგ რომ მოგცეთ, ჩვენ რა გვეშველება. ღირეჭტორი ცნობილი იყო თავისი ჯიუტი ხასიათით. თან შემთვრალიც იყო და რომ იტყვიან „ქვა ააგლო და თავი შეუშვირაო“ – ისე მოხდა.

ორი ღლის შემდეგ, ხურჯინგადაკიდებული ცხენებით, საპატიო სტუმრები უკან ბრუნდებოდნენ იგივე მეგზურის თანხლებით.

„რევანზ ნიკალაევიჩის“ ცხენზე გადაკიდებული ხურჯინის ერთი თვალიდან თავი ამოეყო შუბლზე თეთრხალიან ლეკვს და ინტერესით ათვალიერებდა მისთვის უცნობ გარემოს.

\* \* \*

კარგად არ იყო გათენებული, როცა ვახტანგიმ საბანქვეშ რალაცა რბილი და თბილი იგრძნო. შეემინდა ბავშვს და საბანი მოისროლა. ლამპის შუქზე ლეკვმაც წამოყო თავი, გაიზმორა, დაამტყნარა და შეშინებული თვალებით მიაშტერდა ბიჭს. მერე მკერდზე ააცოცდა, თათები გაბედულად მოუთათუნა და კრუსუნით აულოკა ცხვირპირი. ვახტანგი მალე გამოერკვა, განარებულმა ნაზად მიიკრა გულზე და ფაფუკ კეფაზე და ზურგზე დაუწყო კოცნა. მიხვდა, ვისი „ონიც“ იყო ეს მოულოდნელი სიურპრიზი, უფრო მძლავრად ჩაიხუტა ლეკვი და ლამის ალერსით გაგუდა. ნაცნობობა შედგა.

ლეკვიც თავს ისე გრძნობდა, როგორც „საკუთარ სახლში“.

ფანჯრებს მიღმა ოღნავ ინათა. დილა მოაბიჯებდა ფრთხილი ნაბიჯებით. სკოლაში წასვლის დროც ახლო იყო.

შემოსასვლელ კარებთან ვახტანგიმ მამის წერილი იპოვა: „შვილო, გაუფრთხილდი, მოუარე და განარდე. თბილად გყავდეს, პატარაა და არ შესცივდეს. დარეჯანიც დაგეხმარება. მე მალე ჩამოვალ“.

ბავშვებმა სასწრაფოდ მიუჩინეს „თავისი“ ადგილი საკმაოდ დიდ ბინაში. ქვეშაგები დაუგეს, ჯამით წყალი დაუდგეს და არც საჭმელი მოაკლეს, თუმცა რას შეჭამდა მუშტისხელა პატარა არსება, რომელიც ჯერ კიდევ გაფაციცებით და გაკვირვებით უცქეროდა ყველაფერს. რა იცოდა პატარამ, რომ მისი შემდგომი ქალაქური ცხოვრება არადანიშნულებისამებრ წარიმართებოდა და მისი გასანადგურებელი მგლები სხვების ლუკმა განდებოდა.

ვახტანგი გაკვეთილებს ვეღარ უსმენდა, ადგილზე ცქმუტავდა, ერთი სული ჰქონდა სახლში როდის დაბრუნდებოდა. თან სულ იმას ფიქრობდა – სახელი როგორი შეეურჩიო. გადაწყვიტა თავის დასთან და უბნელ ბიჭებთან ერთად მოეფიქრებინა.

სირბილით დაბრუნდა სახლში. დარეჯანს კალთაში ჩაესვა ლეკვი, ეალერსებოდა და რალაცას ტენიდა პირში. ისიც ხტუნავდა, თავს აქეთ-იქით იქნევდა, პატარა კუდს შეუჩერებლად აქიცინებდა და კრუტუნ-წკმუტუნით რალაც ხმებს გამოსცემდა.

ბავშვებმა ერთობლივად შეურჩიეს სახელად „ალმასა“ და ამ მომენტიდან დაიწყო ახალი ცხოვრება. ალმასა ოჯახის სრულფასოვან წევრად ითვლებოდა და გადამეტებული ყურადღებითაც სარგებლობდა.

ბავშვებმა გაიხარეს, გამოცოცხლდნენ. მათ ობლურ ცხოვრებას ბიბგი მიეცა. თითქოს სიმარტოვეს ვეღარ გრძნობდნენ, განხალისდნენ და ცხოვრებაც აღარ ეჩვენებოდათ გაუსაძლისად და უკუღმართად. „ალმასამ“ გაალამაზა და შინაარსი შესძინა ბავშვების



ყოველდღიურ ცხოვრებას.

დრო გადიოდა. „ალმასა“ იზრდებოდა და თანდათან იკვეთებოდა მისი ფიზიკური მონაცემები. რვა თვისა უკვე იმხელა იყო, რომ უკანა ფეხებზე შემდგარი მაღალი კაცის სიმაღლეს უტოლდებოდა. განიერი და ძლიერი მკერდი მუქიყავისფერი ბეწვით ჰქონდა დაფარული. შუბლზე თეთრი ლაქა გაზრდოდა და უფრო გამოკვეთილად უჩანდა. თათები ჰქონდა ისეთი ძლიერი და დიდი, რომ თოვლზე ნაკვალევის მიხედვით, იფიქრებდა კაცი სპილოს გაუკვალაო. ისეთი ხმა ჰქონდა, რომ ყფვისას ფანჯრის მინები ხანზარებდა. თვალები ჰქონდა საოცრად მეტყველი და ჭკვიანი. გონიერებით ხომ ბევრად სჯობდა ზოგიერთ უვიცსა და უტვინოს. წინა ორი თათითა და ძლიერი ყბებით, რის გაკეთებაც შეეძლო დაუზარელად შრომობდა და ობოლ და-ძმას საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა. წყლით სავსე ვედრას იქ მიიტანდა, სადაც მიანიშნებდნენ; სარდაფიდან თითო-თითო ნაჭრად ამოჰქონდა შეშა და ლუმელთან აგროვებდა. არც ხილ-ბოსტნეულით სავსე კალათის ტარებაზე ამბობდა უარს. ისეთი ძლიერი კისერი ჰქონდა, რომ მძიმე ტვირთის ძირსდაუდგმელად ტარება შეეძლო საკმაოდ დიდ მანძილზე. სკოლაში მიაცილებდა ვახტანგს და სასწრაფოდ უკან ბრუნდებოდა; ახლა დარეჯანს ეთამაშებოდა და ეხმარებოდა. საოცარი ის იყო, რომ რაღაც ინსტიქტით გრძნობდა გაკვეთილების დამთავრების მომენტს და სკოლის ჭიშკართან ელოდა ვახტანგს, რათა სახლამდე გაეცილებინა. ერთხელ ჩანთაც კი გამოსტაცა და თავისქნევით სახლამდე ატარა.

მას შემდეგ, რაც ერთად დაიწყეს სკოლაში სიარული, უბნის აბეზარა ბიჭები ველარაფერ ცუდს ვერ უბედავდნენ ვახტანგს. „ალმასას“ შიში ჰქონდათ, რომლის ბუმბერაზი ტანის დანახვაც კი თავზარს სცემდა მათ. უბნის ათობით ძალღიჯ კი ერიდებოდა „ალმასასთან“ დაპირისპირებას, მას შემდეგ რაც ხუთი თუ ექვსი ძალღიჯის ისე დაბეგვა, რომ ორი კვირა აღარ გამოჩენილან. თა-

ვად „ალმასა“ არასდროს ერჩოდა ვინმეს. მშვიდად და საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებული ღინჯი ნაბიჯებით მიჰყვებოდა ვახტანგის, რომელიც ასევე ამაყად მიმოდიოდა ქუჩებში განუყრელი მეგობრის იმედით. ერთი კი იყო, რუს ჯარისკაცებს ვერ იტანდა.


ვახტანგის სახლი სულ ასიოდე მეტრით იყო დაშორებული რუსული სამხედრო ბაზიდან. თითქმის ყოველდღე მწყობრი ნაბიჯებით დადიოდნენ სამხედროები ქალაქის ცენტრის მიმართულებით. ისინი ხან აბანოში, ხან სტადიონზე, ხანაც სამეურნეო სამუშაოებში დასახმარებლად მიჰყავდათ ხოლმე.

„ალმასა“, გაიგონებდა თუ არა მწყობრი ნაბიჯებისა და უაზროდ დაზეპირებული სიმღერის ხმას – მოსწყდებოდა ადგილს და ორიოდ ნახტომით შუა გზაზე ჩნდებოდა. მისი დაკავება შეუძლებელი იყო. ერთს დაჰყვოდა თავისებურად და ოცეული ბრინჯივით იფანტებოდა. ზოგი წინ გარბოდა, ზოგი უკან, ზოგი კი მეზობელი სახლების ჭიშკრებს ასკდებოდა ფერდაკარგული და აკანკალებული.

რამდენჯერმე რომ მოხდა ასეთი რამ, სამხედრო ბაზის უფროსმა იჩივლა – დააბით, თორემ მოვკლავთო. ვახტანგის გული უკვდებოდა, როცა მსხვილი ჯაჭვით დაბმული „ალმასას“ ცრემლიან თვალებს უცქეროდა. ძალლი არც წყალს და აღარც საჭმელს ეკარებოდა. ერთთავად კვნესოდა და ადგილიდან არ იძვროდა. ვახტანგისმაც მოიწყინა და გამოსავალს ეძებდა.

ერთ დღეს ვახტანგი აივანზე იჯდა და წიგნს კითხულობდა. ამ დროს გაისმა მწყობრი ნაბიჯის ხმა. ვახტანგს გულმა ხიფათის მოახლოება უგრძნო, მაგრამ მანამ რაიმეს მოიფიქრებდა, თვალი მოჰკრა ქვის გალავანზე გადავლებულ „ალმასას“, რომელსაც ჯაჭვის ნაგლეჯი შერჩენოდა კისერზე.

ვახტანგი ეცა ქუჩის კარებს. გაისმა ჯერ ყეფის ხმა, მერე გაფანტული ჯარისკაცების ფეხის ხმა და ის იყო გავარდა ქუჩაში – იქუნა ოფიცრის პისტოლეტმა. ბედზე ტყვია ასცდა „ალმასას“, რომელმაც რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მსროლელისკენ, მაგრამ მან





მაღაზიაში შეასწრო და პისტოლეტის ქნევითა და უშვერი გინებით აიკლო იქაურობა.

ვასტანგიმ დაიმორჩილა „ალმასა“, შეიყვანა ეზოში და მაგრად დატუქსა. მომხდართი ძლიერ იყო შეშინებული ბავშვი და უკვე აღარ იცოდა რა მოემოქმედა. იფიქრა, მამას ვეტყვი და რაიმე გამოსავალს ვნახავთო, მაგრამ „რევაზ ნიკალაევიჩი“ შეიძლება სამი-ოთხი დღის შემდეგ მოსულიყო. მანამდე უნდა ელონა რაიმე, მაგრამ რა?!


სარდაფი კარგად იკეტებოდა და იქ ჩაკეტა. გადაწყვიტა, დილით სკოლაში გავიყოლებ და მასწავლებლებს დავეთხოვები მამის მოსვლამდეო.

დილით „ალმასა“ აღარ დახვდა სარდაფში. ქუჩის მხარეს გამავალი ფანჯარა განგრეული იყო. მთელი დღე არ გამოჩენილა. უბნის ბიჭები ეძებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. დადარდიანდნენ ბავშვები. ვასტანგს ცრემლებით ჰქონდა თვალები დანაშული, დარეჯანი კი ერთთავად სლუკუნებდა – მამას რა პასუხი გავცეთ, ერთ ძაღლს როგორ ვერ მოუარეთო, რომ გვკითხოს?!

მთელი ღამე არ ეძინათ პატარებს. „ალმასა“ არც დილით გამოჩენილა. ვასტანგი სკოლაში არ წავიდა. ახლა მოზრდილი მეზობლები შეაწუხნა და განაგრძეს ძებნა, მაგრამ „ალმასას“ კვალს ვერ მიაგნეს. ანდა როგორ იპოვნიდნენ – სამხედრო ნაწილის ჭიშკრის ახლომდებარე ბუჩქნარში შემალულიყო და თვალს არ ამორებდა შემსვლელ-გამომსვლელს.

როგორც იქნა „გაუმართლა“, ერთიანად დაიძაბა და ნახტომისთვის მოემზადა. საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან სწორედ ის ოფიცერი გამოდიოდა, რომელმაც ესროლა.

ჯერ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, მერე დაიჭიმა ზამბარასავით და ორი ნახტომით ოფიცრის წინ გაჩნდა. შეშინებული და თვალებგაფართოებული ოფიცერი დაიბნა, მაგრამ უცბად მიხვდა ვისთანაც ჰქონდა საქმე, მკვეთრად შეტრიალდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოკურცხლა, თან ყარაულს უყვიროდა – ესროლე,



ესროლეო. ყარაულმა შემართა შაშხანა, მაგრამ სროლას ვერ ბედავდა. გაქცეულ ოფიცერს „ალმასა“ წამოსწეოდა და მარჯვენა ფეხზე კირზის ჩექმის ქუსლისთვის ჩაერჭო კბილები. ერთი-ორჯერ მოქაჩა, ოფიცერი პირქვე დაანარცხა, ჩექმა გაადრო და კისრის მოქნევით შორს მოისროლა. ოფიცერი წამოხტა, მაგრამ „ალმასა“ ახლა მეორე ჩექმას ჩაეჭიდა ბასრი კბილებით, საკმაო მანძილზე ათრია პირქვედამხობილი და მერე კისრის ერთი მოქნევით შორს მოისროლა მეორე ჩექმაც. მერე ერთი შეყეფა გამარჯვების აღსანიშნავად, შემოტრიალდა და ნელი ტუნტულით გაემართა სახლისკენ.

გაისმა სროლის ძლიერი ხმა — ერთი, ორი, სამი... მერე შედარებით სუსტი ხმის ორი გასროლა და „ალმასასთვის“ ყველაფერი დამთავრდა. საწყაღმა, ვინ იცის, იქნებ სიკვდილის წინ ის გაიფიქრა — ნეტავ მგელს შევეჭამე და რუსული ტყვიით არ მოვმკვდარიყავიო.

გულაღმა ეგლო წითელ გუბეში. ხუთი ჭრილობიდან თქრიალით მოსდიოდა სისხლი. როცა ვახტანგი თავის უბნელ ძმაკაცებთან ერთად წაადგა თავზე — „ალმასა“ აღარ სუნთქავდა, მან თავისი წილი რუსული ჩექმა შორს მოისროლა.

ბიჭებმა „სამოკატკები“ სქელი ფიცრებით გადააბეს ერთმანეთს, აახოხეს სახელდახელო ლაფეტზე და ძლივს მიიტანეს ეზოს კარამდე, მგლებთან საბრძოლველად მოვლენილი და რუსული ტყვიებით დაგლეჯილი სხეული.

ბავშვებმა ეზოშიმდგარი დიდი კაკლის ძირში გათხარეს ორმო და ცრემლებისღვრით მიაყარეს მიწა.

ვახტანგიმ სახელდახელოდ შეკრა ფიცრის დაფა, დაამაგრა საფლავის თავთან და წააწერა: „აქ განისვენებს დარდიმანდი ალმასა!“

ამ ამბის შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. დღესაც, ოთხმოცწელს მიღწეული ვახტანგი, როცა ჩაივლის იმ ქუჩაზე, ცრემლიანი თვალი გაურბის კაკლისკენ, რომლის ძირშიც უანგარო მეგობრის, „ალმასას“ ძელები ეგულება.

2009 წ.

## მილიციონერი ბერდია



პატარა ქალაქის მოსახლეობა შეჩვეული იყო იმ ამბავს, რომ ცენტრში მდებარე მცირე ზომის მოედანზე ყოველდღე აუცილებლად დაინახავდა აქეთ-იქით, მძიმე ნაბიჯებით მოსიარულე, დევივით აღნაგობის, შუახანსგადაცილებულ მამაკაცს. მას სახელად ერქვა ბერდია. ამ კაცის გვარი და წარმომავლობა თითქმის არავისთვის იყო ცნობილი. მას მილიციელის ფორმა ეცვა. ყოველთვის სუფთა და ტანზე კონტად მორგებული. მართლაც რომ ბუმბერაზის გარეგნობა ჰქონდა – მაღალი, მხარბეჭიანი, ნორმალურად ხორც-შესხმული, სანდომიანი გამოხედვით. ჭადარაშერეული და გადაგრეხილი უღვაშები გადაწყვიტა-გაშვერილი ჰქონდა მარცხნივ და მარჯვნივ. სახეზე ოდნავ გადაჰკრავდა მოლაჟღაჟო წითელი ფერი. გაბოტილი დგომა იცოდა-ხოლმე თავის ძლიერ ფეხებზე, რომლის წვივებსაც მჭიდროდ შემოსაღებდა მოპრიალე ტყავის ჩექმები. უზარმაზარი „მაუზერი“ ეკიდა მხარზე გადაკიდებულ ტყავის თას-მაზე და განუყრელად ხელში ეჭირა თოკზე გამობმული სასტკენი, რომელსაც, ალბათ, კვირაში ერთხელ თუ ჩაჰბერავდა, რადგან ამის აუცილებლობა თითქმის არ იყო. მართალია, მსოფლიო ომი მძვინვარებდა და ქალაქის ცხოვრების რიტმი მოშლილი და დარღვეული იყო, მაგრამ სამართალდარღვევების შემთხვევები იშვიათი იყო. მაშინ ქურდობაც ნაკლები იყო და მკვლელობებიც. ნარკოტიკებზე ხომ საერთოდ არ ჰქონდათ წარმოდგენა. ჰოდა, ბერდიას არ უჭირდა საზოგადოებრივი წესრიგის კონტროლი და უზრუნველყოფა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბერდია მილიციონერისა უფრო მეტად ხათრი და პატივისცემა ჰქონდათ, ვიდრე შიში, რაც მან კეთილშობილური ყოფაქცევით და ადამიანებისადმი სამართლიანი და გულისხმიერი დამოკიდებულებით დაიმსახურა.

ამბობდნენ, რომ ბერდიას საკუთარი ოჯახი აღარ ჰყავდა და მარტოხელა ადამიანის ცხოვრებას ეწეოდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ძალიან კეთილი და უანგარო კაცი იყო. მზად იყო ყველას დახმარებოდა და მხარში ამოდგომოდა. მოსახლეობაც პატივს სცემდა მის კაცობას და საქმისადმი ერთგულ დამოკიდებულებას.

ბერდია მილიციონერი იყო მთელი ქალაქის იმედი და ნუგეში: მეზობლები შეკამათდებოდნენ – ბერდია იყო მათი მოძრიეგებელი, პურის რიგში ვინმე წესრიგს დაარღვევდა – ის იყო მიმხედავი, ბავშვი სკოლიდან ტირილით მოდიოდა – აიყვანდა ხელში და მოეფერებოდა, მშობიარე ქალის წასაყვანადაც მას სთხოვდნენ: სადმე „ლინეიკა“ (ასე ეძახდნენ მაშინ ფაიტონის მსგავს ტრანსპორტს, რომელშიც ორი ცხენი იყო შებმული) ეშოვნა; ვინმეს წამალი და ექიმი დასჭირდებოდა – ბერდიაც იქ გაჩნდებოდა. ხანძრის ჩასაქრობადაც მას ეძახდნენ და ბავშვების მოსანათლადაც.

ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო, ყველა ფრონტზე იყო წასული. უჭირდა ქვეყანას, უჭირდა ხალხსაც. ცხოვრების მთელი სიმძიმე დააწვათ ქალებს და მოზარდებს და ბერდია მილიციონერიც შეძლებისდაგვარად მხარში ედგა თანამოქალაქეებს და უადვილებდა სიცოცხლეს.

1943 წლის ზამთრის სუსხიანი დღე იდგა. ცივი ქარი ძვალსა და რბილში ატანდა. ბერდიას შეატყობინეს, – არიქა, გვიშველე, თებროლეს სახლს ცეცხლი წაეკიდაო. ბერდიას თავგამოდების მიუხედავად სახლს ვერაფერი ეშველა და ბოლომდის ჩაიფერვლა. სახლის პატრონი თავისი რძლითა და ორი წლის შვილიშვილით უსახლკაროდ დარჩა. ისღა შემორჩათ, ტანზე რაც ეცვათ. თებროლეს ერთადერთი ვაჟი – ხვთისო საომრად იყო გაწვეული და მისგან დიდი ხანია წერილი არ ჩანდა. არ იცოდა, თუ სად იყო ხვთისო, ან საერთოდ, ცოცხალი იყო თუ არა.

თებროლეს უმამაკაცოდ დარჩენილ ოჯახს ისედაც ძალიან



უჭირდა და ახლა კიდევ ეს უბედურება დაატყდა თავს. ბერდიამ მორიდებით შესთავაზა ქალებს: „იცხოვრეთ ჩემთან, მარტო ვარ და ხმის გამცემი მაინც მეყოლება. რასაც ვიშოვით, სიამეში მოვიხმართ. მალე ომიც დამთავრდება, ვაჟკაცი ჩამოგვიათ და ღვთის წყალობით ფეხზე დადგებით“.

მზრუნველი ადამიანი მოუვლინა ღმერთმა გაუბედურებულ ოჯახს.


მას შემდეგ ერთ წელიწადზე მეტი გავიდა, ცხოვრობდნენ გაჭირვებით, მაგრამ შეხმატკბილებულად და მომავლის იმედით. ბერდია ძალ-ღონეს არ იშურებდა, როგორც იტყვიან „წელებზე ფეხს იდგამდა“, რათა შიმშილისაგან სიკვდილი აეცდინათ და ფაშისზე გამარჯვების დღეს მხნედ შეხვედროდნენ.

ღრო გადიოდა – ხვთისოსგან კი კვლავ არაფერი ისმოდა. მალე ქალაქის სხვადასხვა კუთხეში აჩურჩულდნენ ქალები: „ხვთისო ფრონტზე კი არა, ტყეშია გავარდნილი თავის რამდენიმე თანამზრახველთან ერთად. თავს არიდებენ საომრად წასვლას და მთავრობას ემალებიანო“.

მაშინ ღებურტირების მიმართ მოქმედებდა მკაცრი კანონი: – თუ ისინი ნებაყოფლობით არ დაუბრუნდებოდნენ საზოგადოებას და არ მოიხდიდნენ მამაკაცურ ვალდებულებას, მათ ელოდათ ხანგრძლივი პატიმრობა (უკეთეს შემთხვევაში), ანდა შეიარაღებული წინააღმდეგობის შემთხვევაში – ადგილზე დახვრეტა.

ამ საზარელმა მითქმა-მოთქმამ საბრალო თებროლეს ყურამდეც მიაღწია. სირცხვილისაგან იწვოდა და გარეთ აღარ გადიოდა. ერთი კი გაიფიქრა თავისი ადრეგარდაცვლილი მეუღლის მისამართით: „ბედნიერი ყოფილა, რომ ვერ მოესწრო შვილის ასეთ სამარცხვინო საქციელსო“.

თებროლემ მოსვენება დაკარგა. ძილი აღარ ეკარებოდა და რა მოემოქმედებინა აღარ იცოდა. რამდენჯერმე თავის მოკვლავზეც



იფიქრა, მაგრამ შვილიშვილის არსებობა არ ადგმევინებდა ამ უკიდურეს ნაბიჯს.

ერთ საღამოს მუხლებში ჩაუვარდა ბერდია მილიციონერს: „გვევლდრები, გაიგე რომელ ტყეშია. წავალ, მოვძებნი, დავაჯერებ, რომ ჩაბარდეს ნებაყოფლობით. იქნებ ფრონტზე გაგზავნონ და იქ მოკვდეს, თუ სასიკვდილოა. გთხოვ, არ დაიზარო და გაუგო დედის გულს“.

ბერდიამ დაამშვიდა გაუბედურებული ქალი: „კარგი, დამშვიდდი. რალაცას მოვიფიქრებ. იქნებ სხვებზე ადრე მოვასერხო მისი ნახვა და დავიყოლიო. ყველაფერს ვიღონებ“.

ქალის გულში იმედის ნაპერწკალი აკიაფდა.

გავიდა კიდევ ერთი კვირა და ამ ხნის განმავლობაში ქალაქელებს მოედანზე აღარ უნახიათ ბერდია მილიციონერი. ამბობდნენ, მილიციონერთა შეიარაღებული ჯგუფი დეზერტირების მოსაძებნად და დასაჯერად წავიდაო. მათ შორის ბერდიაც არისო. კვირის თავზე კი პატარა ქალაქში მეხივით გავარდა ხმა: „ბერდია მილიციონერი მოკვლესო“.

– რატომ ხელი არ გაუხმა იმ არაკაცს.

– ნეტავ ვინ იყო ის უვარგისი.

– შხამად შეერგოს დედის რძე, ვინც ხელი აღმართა ღმერთივით კაცზე.

– არ ეღირსოს ღმერთის წყალობას, წყეული იყოს ის არაადამიანი, ვინც სიცოცხლეს გამოასალმა ყველას ქომაგი და მოყვარული კაცი... გაისმოდა ხმამალალი წყევლა-კრულვა პატარა ქალაქის პატარა მოედანზე. მერე ერთმა შაოსანმა ხმამალლა განაცხადა – ხვთისოს მოუკლავსო ბერდია მილიციონერი...

ქალაქმა დიდი პატივით გააცილა ბერდია უკანასკნელ გზაზე...

წითელი არმია კი უკვე საკუთარი ბუნაგისაკენ მიერეკებოდა ფაშისტების ხროვას.

იღვა 1944 წლის შემოდგომა.



## კაციანთ მისა

მთელ იმ არემარეში განთქმული კაცი იყო კაციანთ მისა. დიდსა თუ პატარას ეამაყებოდა ამ ტკბილ მოხუცთან სიახლოვე და მოყვრობა. გონებამახვილი და მჭერმეტყველი, ოჯახის ერთგული, პატიოსანი და გამტანი – ასეთად იცნობდნენ მისას მეზობლები, მეგობრები, ნათესავები, მტერი თუ მოყვარე.

ყველა კახელს უყვარს ვაზი, მაგრამ მისას რომ უყვარდა, ისე ბევრი ვერ დაიკვებინს. ერთრამედ ღირდა მისას ქვევრებით ფუძეგამაგრებული მარნის ნახვა. მის ოჯახში ღვინის და სიმღერის კულტი ბატონობდა. ბულბულივით მაღალი ტემბრისა და ნაკადულივით წკრიალა ხმა ჰქონდა მისას. თავის ოთხ ვაჟიშვილთან ერთად სიმღერას რომ დააგუგუნებდა ხოლმე, სულგანაბულს უნდა გესმინა.

წუთისოფელს თავისი უღმობელი კანონები აქვს. გარჯითა და ჯაფით გატარებულმა ცხოვრებამ შეუმჩნევლად ამოწურა სიცოცხლის სკივრის, ერთი შეხედვით უსაზღვრო, შესაძლებლობები და კაციანთ მისამ საწოლთან მიიხმო თავისი ვაჟიშვილები.

– ჩემო არწივებო, მე ალბათ მალე დავტოვებ ამქვეყანას. ერთი სათხოვნელი მაქვს: როგორც გვიცხოვრია, როგორც ჩვენს ოჯახს შვენი, როგორც ეს ჩვენი ჯილაგის ტრადიციებს შეეფერება, ისე მინდა რომ გამაცილოთ უკანასკნელ გზაზე. ეს არის ჩემი სურვილი და თხოვნა; იმედი მიმყვება თან, რომ არ მიმტყუნებთ და არ შემარცხვით.

შეცბუნდნენ ვაჟები – რა დროს შენი სიკვდილია, ნუ დარდობ, ყველაფერი კარგად იქნებაო და შეფარვით უთვალთვა-

ლებდნენ მისი გამოფიტული თითების ძლივსშესამჩნევ მოძრაობას და ოდესღაც მბრწყინავ, ყოველთვის იმედისმომგვრელ მის მიმქრალ, ჭკვიანურ თვალებს.

– ნუ, ჩემო ბაღლებო, ტყუილუბრალოდ ნუღარ მანუგეშებთ. აღსასრული მოახლოვდა და იმქვეყნად წასვლა გარდუვალია. ეცადეთ სრულად და ლამაზად შეასრულოთ ჩემი უკანასკნელი თხოვნა. გამოსათხოვარ სუფრაზე მოიპატიჟეთ ყველა, ვისაც კი ხმას მიაწვდნენ. არ გამოგრჩეთ ნათესავი, მეზობელი, მეგობარი, მტერი თუ მოყვარე და ისეთი ზემით გამაცილეთ, როგორც თქვენს ვაჟკაცობას ეკადრება... – ძლივს გასაგონად ეჩურჩულე-ბოდა კაციაანთ მიხა თავზემდგომ შვილებს.

– რაკი არ იშლი და ასე მოინდომე, იქნებ უკანასკნელი რჩევა-დარიგებაც მოგვცე და გვითხრა, სუფრა როგორი გავაწყობოთ? – შეჰბედეს ვაჟიშვილებმა.

– ეს სულ სხვა საქმეა, – ოდნავ გასაგონი ხმით წარმოთქვა მიხამ და გამოცოცხლება დაეტყო ფერმკრთალ სახეზე. საკლავზე ბაციაანთ ნიკას მიაკითხეთ, არაფერი შეეშლება; თევზეული დიდბერაანთ ქვრივს დაავალეთ; შოთ-ლავაში ტრულეაანთ მართას გამოაცხობინეთ; მღვდელი არ დაგავიწყდეთ და თუ ვინმე მოსანათლია, მაგ საქმესაც დროზე მიხედეთ; მიცვალებულის სუფრის თამაღობა კი ყველაზე კარგად შობელძალდ მუქნაჭას შეუძლია, ხმაც უჭრის და ენაცა. აჩქარებული გულისცემით გასცა მიხამ რჩევა-დარიგება და ძნელად შესამჩნევი სიამოვნებით ჩამოისვა უღვაშებზე მოცახცახე, ჩამიჩივით დამჭკნარი მარჯვენა...

– რაც მთავარია ის გამოგრჩა, – შენიშნა უფროსმა ვაჟიშვილმა მორიდებით, მაგრამ მაინც თავისი აღმოჩენით კმაყოფილმა – სუფრა რომელი ღვინით მოვაგვირგვინოთ, რას გვირჩევ, მამაჩვენო?!

– ჰოო! ეხლა კი მართლაც გამახარეთ – ხმაში რიხი გამოერია მოხუცს. ღვინო მართლაც მთავარია... ისეთი უნდა იყოს, ყველა კუთხის კაცს მოეწონოს და არც არავინ გააგიჟოს...

– ასეთი ღვინო მარნის ბოლოში რომ ოთხმოცფუთიანი ქვევრია, იმაში მეგულება, მიაგება უმცროსმა ვაჟმა.

– ეგ ღვინო ჯერ ერთი წლისაც არ არის და კარგად არ იქნება დამჯდარიო – შენიშნა უფროსმა ძმამ.

– მკითხაობას გასინჯვა სჯობია – ჩაერივნენ საუბარში აქამდე თავჩაქინდრულნი და მღუმარედ მღვომნი მეორე და მესამე ვაჟი.

კაციაანთ მიხამ ლოგინში გვერდის შეცვლა ვერ მოასწრო, რომ ოთახში სველი თუნგით შემოიტანეს ოთხმოცფუთიანის ღვინო, მწვანილი და შოთებიც მოაყოლეს.

პირველი ჯამი უფროსმა ასწია, მამას მზეგრძელობა უსურვა და ჭერს შეხედა. ცოტა წიპწის გემო გაჰკრავსო, თქვა ტუჩების წკლაპუნით და მომდევნო ძმას გადახედა. მომდევნომაც არ დააყოვნა, მამას ფეხზე დადგომა უსურვა, პირჯვარი გადაიწერა და მანაც ჭერს შეხედა:

– ამაზე კარგი რა უნდა დალიოს კაცმა, მაგრამ შეიძლება ჩვენს იმერელ ნათესავებს არ მოეწონოთ;

მესამე ძმამ ჯამი სამი თითით დაიჭირა, მუხლზე დაიჩოქა და ღმერთს მამის ჯანმრთელობა შესთხოვა.

– შვილო, მანამ დალევდე, მოდი მომეხმარე, წამოვვდე ლოგინში, ცოტა ბალიშიც გამისწორე – თქვა მიხამ და წამოწევა სცადა. მესამემ მოხუცი წამოაყენა და ჯამიც გამოცალა.

ნაბოლარა ძმამ თავისი შვილიშვილის ქორწილში თამაღობა უსურვა მამას და ტუჩები სახელოთი ჩამოიწმინდა.

– აბა ერთი მეც ჩამომისხით, – ხმა დაეწმინდა და ფერზეც



მოვიდა კაციაანთ მიხა, – ხომ უნდა ვიცოდე, რითი მიპირებთ გაცილებას.

დამჭენარი თითები ჯამს სალტეებივით შემოეჭიდა და ღვთიურმა სითხემ ჯამიდან გამოფიტულ ძარღვებში გადაინაცვლა. კარგია, მაგრამ სიმჟავე აკლია, თქვა მიხამ და განაგრძო – მარნის შესასვლელში, ხელმარცხნივ რომ სამოცფუთნახევრიანია, ის მოხადეთ, იმის იმედი უფრო მაქვს.

დალიანი ქვევრიდან შემოტანილ ღვინოს მწნილი და ახლად მოკრეფილი კიტრი-პამიდორიც შემოაყოლეს, სამფეხა მაგიდას მოხერხებულად შემოუსხდნენ და ცივად მოხარშული დედლის მოლოდინში ჯიხვის რქა შეავსეს. ჩამოტარების შემდეგ ყველამ ერთხმად აღიარა – ღვინო კრიალა და შუშუნაა, მაგრამ სიმაგრე აკლიაო.

მარნისაკენ კუნტრუშით მიმავალ ნაბოლარას ხმა მიაყოლეს, ტუნძოტეხილი ქვევრი რომაა, ხახვის გალების ქვეშ, იქიდან ამოიღეო.


ღვინოს ცივად მოხარშული დედალი და ნიორწყალიც შემოაყოლა უმცროსმა...

მამლის მეორე ყვილზე მეზობლებს ისევ შემოესმათ დიდებული სიმღერა კაციაანთ მიხას სახლიდან. კარგად უწყოდნენ მიხას უძღურობის შესახებ და გაუკვირდათ, ნეტავ რა ხდებო.

კაციაანთ მიხა კი სუფრასთან იჯდა, აღარც თითები უცახცახებდა და აღარც თვალებში ჩარჩენოდა მოხუცებულობის სევდა თუ ნაღველი. ისეთ სადღევრძელოებს ამბობდა... ეეს, ვიღამ იცის ისეთი სადღევრძელოები...

სადღევრძელოს სიმღერა სცვლიდა, სიმღერას – სადღევრძელო და წუთისოფელიც აღარ იყო წუთისოფელი.





## სიმაჟორა

ვისაც მეორე მსოფლიო ომამდე უნახავს თბილისი-თელავის (ან პირიქით) შემაერთებელი რკინიგზა, აუცილებლად ემახსოვრება, თუ როგორი მიხვეულ-მოხვეული და დაკლაკნილი იყო მთაში მიმავალი ბილიკივით. ხელისუფლება, თურმე, „დიდ ფულს“ უხდიდა ყველა იმ მიწის „ბაღის, ვენახის“ პატრონს, ვის ნაკვეთზეც უნდა გაეგლო რკინიგზას.

ამტყდარა ერთი ამბავი; თურმე ყველა ცდილობდა (ათასნაირი ხერხებით და მაქინაციებით), რომ როგორმე თავის მიწის ნაკვეთზე გაეტარებინა ფოლადის გზა და გამოსულა ის რკინიგზა ასე მიხვეულ-მოხვეული და დაკლაკნილი.

იდგა ათასცხრაას ორმოცდაცხრა წლის ზაფხული. თელაველი ჭაბუკი კალათბურთელები, ზემოთხსენებულ რკინიგზაზე მოთუხთუხე მატარებლით მიემგზავრებოდნენ თბილისში, რესპუბლიკური პირველობის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად.

კალათბურთელებს შორის იყო ბენო ესიტაშვილიც. იგი თავის ძმაკაც-კოლეგებთან შედარებით მაღალი იყო და ძალიან სწრაფიც, ამიტომ იყო, რომ კარგად აითვისა კალათბურთის „ფილოსოფია“ და მისი ასაკის შესაბამისად გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია.

ბენო გამოირჩეოდა მხიარული და მოუსვენარი ხასიათით, მოჭარბებული ჰქონდა იუმორის გრძნობა, კარგად შაირობდა და მღეროდა – მოკლედ, რომ იტყვიან „ღუშა ობშესტვა“ იყო.

კიდევ ერთი განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩეოდა თანატოლებისაგან. შავტუხა, თმანუჭუჭა კახელებისგან განსხვავე-

ბით ბენო იყო, რომ იტყვიან „რიჟა“, სახეგადაჟღერებული და სიწითლემდე მისული თმებით.

აი, ახლაც, ბენო ზის კუბეში და რაღაცაზე გაცხარებით საუბრობს, თან ყველასთან ასწრებს გასაუბრებას და გამოპასუხებას და ამავე დროს არც ჭადრაკის ფიგურების გადაადგილება ავიწყდება. არის კუბეში ერთი სიცილი და ხორხოცი.

ვიღაცამ უთხრა ბენოს: „ერთი ფანჯარაში გაიხედე, ხომ არ იღრუბლება და წვიმას ხომ არ აპირებსო“.

ის იყო ბენომ ფანჯარაში გადაყო თავისი წითელი თავი და მატარებელიც მაშინვე გაჩერდა.

– რა იყო, რატომ გაჩერდით? – იკითხა ერთმა.

– გაჩერდებოდით, აბა რა იქნებოდა; ე, სიმაფორივით თავი რომ გადაყო ბენომო“

და შეერქვა ბენოს ზედმეტსახელად „სიმაფორა“.

ახლაც ამ ზედმეტი სახელით უფრო იხსენებენ თელაველები თავიანთ ერთ-ერთ საუკეთესო თანამოქალაქეს.

2004 წ.

## ტიპქორა



კახეთში, და რალა თქმა უნდა თელავშიც, თითქმის ყოველ მამაკაცს აქვს ზედმეტი სახელი, რომელიც ან გვართან არის დაკავშირებული, ან გარეგნობასთან, ან აკვირებული სიტყვის ხშირ ხმარებასთან, ანდაც ამათუიშ კაცის ცხოვრებაში მომხდარ რაიმე მნიშვნელოვან, საამო თუ უსიამო მოვლენასთან. ზედმეტი სახელი ზოგჯერ მოფერებითია, ზოგჯერ გამომწვევი, ხან ვულგარული და ძნელად სახმარი, ხანაც საამაყო.

აღამიანები ეჩვევიან თავიანთ ზედმეტ სახელს და ხშირად ვერც წარმოუდგენიათ სხვა, და მათ შორის ნამდვილი, სახელით როგორ უნდა მიმართონ.

განსაკუთრებულ შემთხვევათა კატეგორიას განეკუთვნება მომავალ მამაკაცზე, ჯერ კიდევ საბავშვო ასაკში, შეიძლება ითქვას დაბადებისთანავე, ზედმეტი სახელის „იმეკვიდრეობით“ გადაცემა, პაპისგან ან მამისგან. ჩვეულებრივ კი, ასე ვფიქრობ, ზედმეტი სახელები „ჩნდება“ და საყოფაცხოვრებო ასპარეზზე გამოდის სასკოლო ასაკიდან, ასე მეოთხე-მეხუთე კლასებიდან, როცა ბავშვი იწყებს მეტნაკლები დამოუკიდებლობის ნიშნების გამომჟღავნებას.

მეცხრე კლასამდე ისე მივადწიე, რომ „ნამდვილი“ ზედმეტი სახელი არ მქონია შერქმეული, თუმცა ნელნელა მაჩვენებენ გვარიდან წარმოშობილ შემოკლებულ სახელს „ჭანკო“.

იმდროისთვის, ჩემს ახლო გარემოცვაში ხშირად იყო ხმარებაში ისეთი ზედმეტი სახელები როგორიცაა: „ტრულე“, „თოხანა“, „ბაჯბაჯა“, „სიმაფორა“, „აჭა“, „მეხინკლე“, „უსისხლო“, „ყვავი“, „ლოყე“, „ქინქლო“, „კვასო“, „ჩნიკვი“, „პენალტა“, „აკიმოვი“, „ზონტიკა“, „გაბო“, „ცხვირა“, „კარიაკინი“, „ბისკვიტა“,

„სანდალა“, „ქურთი“, „რიბა“, „სლივა“, „ჩონქარა“, „ცუციკა“, „გეგე“, „წმინდაო“, „კუპრაჭა“, „კლუკი“, „ცინგლიანი“, „ემ-მაკა“, „დობლიანი“, „ტურეციკი“, „კურკა“ „ზანგო“ და ა.შ.

თელავის ვაჟთა მეორე სკოლის რვა კლასი დავამთავრეთ რვა ბიჭმა, ხოლო მეცხრე კლასში დაგვემატა ერთი კიდევ. ისე, რომ მეცხრე კლასიდან ცხრა ბიჭმა გავწიეთ მეთერთმეტე კლასისკენ და იმდროისთვის ახლადდაწესებული მეღლებისაკენ, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ მოწყობის გარანტიას იძლეოდა.

აქ დაიწყო აურზაური. საქმე იმაში გახლდათ, რომ მეღლების შემოღებას მოჰყვა ე.წ. ლიმიტებიც; სკოლებს დავალებული ჰქონდათ მოემზადებინათ იმდენი და ამდენი მეღალოსანი. მრავალრიცხოვან და ძლიერ სკოლებს გადიდებული ლიმიტები ჰქონდათ დაწესებული და დაიწყო მშობლებისათვის თავსატეხი დღეები და თვეები. ძილი გაუერთათ, მოსვენება დაკარგეს. თითებზე ანგარიშობდნენ რომელ სკოლაში მეღლის რამდენი კანდიდატი იყო; სად რანაირი ლიმიტი იყო დაწესებული; სად, რომელ სკოლაში იყო მეღლის მიღების მეტი შანსი და ა.შ. გაჩაღდა ბავშვების სკოლიდან სკოლაში გადაყვან-გადმოყვანის კომპანია. ბოლოს გამოვიდა ისე, რომ მეთერთმეტე კლასი დავამთავრეთ არა ცხრა ბიჭმა, არამედ გაცილებით მეტმა.

ჩემი ცხოვრების ეს პერიოდი ბევრი რამით იყო ღირსშესანიშნავი. უკან იყო მოტოვებული „დედა უფრო გიყვარს, თუ მამა“-ს ეტაპი და ფეხი გვექონდა შედგმული ეტაპზე, „რომელ კლასში ხარ, შეყვარებული გყავს?“ „აბა, შენ იცი, გახსოვდეს რომ მოსწავლეთა გმირობა, ეს არის სწავლა“ და ჩვენც ვსწავლობდით და კარგადაც ვსწავლობდით, ვინაიდან ყოველ ჩვენგანს გმირობა ეწადა. ჩვენს მეობაში ხდებოდა რალაც, ჯერ კიდევ შეუცნობი



ცხოვრებისეული თუ ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური გარდატეხა. ნელ-ნელა იკვეთებოდა „ბიჭობის“ ფენომენი. ეს ის დრო იყო, როცა ვგრძნობდით ძალების მოზღვავენას, როცა გაზაფხული იყო წელიწადის ყველაზე ლამაზი და ტკბილი დრო, როცა ქვეშეცნეულად გაგვიჩნდა ახლობელ-მეგობართა წრის გაფართოების სურვილი მეტწილად მეორე სქესის წარმომადგენლებით. დაბოლოს, ეს ის დრო იყო, როცა მამებმა უკვე დაგვიწყეს ანგარიშის გაწევა და მისაწვდომი გახადეს ჩვენთვის „აკადემიად“ მონათლული ქართული სალხინო სუფრა, თუმცა წინასწარი „გამოსაცდელი ვადის“ გავლის შემდეგ. „გამოსაცდელი ვადა“ კი გულისხმობდა მომზადებას და გაწვრთნას: ღვინის გადაღება-გადმოღებაში, ჩამოსხმაში და მირთმევაში, შეშის ჭრაში, მყაელის გახურებაში და მწვადის შეწვაში, სასმისების მირთმევაში და მიმარჯვებაში, მეზობლების მოპატიჟებაში და სხვა. ასე იწყებოდა ჩვენი „ნათლობა“ ქართულ სუფრასთან, თუმცა დიდხნით ჯდომა სუფრასთან არ გვქონდა ნებადართული, რადგან სტუმრების გამცილებელ-მიმცილებლებიც ჩვენ ვიყავით და ეს გვეამაყებოდა კიდევ.

იმდროინდელი ქართული სუფრა მართლაც, რომ „აკადემია“ იყო. აქ მოისმენდით საქმიან და დარბაისლურ საუბარს, სანიმუშო სიტყვა-პასუხს, სიმღერას, ლექსებს, ანეკდოტებს, ლეგენდებს, მოგონებებს, ზეპირ ამონაგლეჯებს საქართველოს ტანჯული ისტორიიდან და ა.შ. საოცარი იყო სუფრის ორგანიზებულობა, დასაწყისიდან დამთავრებამდე თამადა პროფესიონალური ცოდნით დირიჟორივით მართავდა სუფრის, ხშირად ჭრელ „ორკესტრს“, ისე, რომ იშვიათად თუ იყო შესაძლებელი რაიმე გაუგებრობა. ყოველთვის იგრძნობოდა ოჯახისა და დიასახლისისადმი უდიდესი პატივისცემა, საქმისადმი, მეგობრებისადმი და სიყვარული-

სადმი ამაღლებული დამოკიდებულება.

ღიას, მაშინდელი ქართული სუფრა მართლაც რომ აკადემია იყო, რომელიც ალბათ უნდა გაეგლო ყველა ახალგაზრდას და პირველ რიგში ბიჭებს. და ჩვენც გავიარეთ, გავიარეთ და ცოტა მოგვიანებით დამოუკიდებლობის სურვილმაც იჩინა თავი, უკვე ვეღარ ვეტეოდით მამაჩვენების „აკადემიების“ ფარგლებში და თანდათანობით, გარეშე თვალისთვის ნაკლებშესამჩნევად, მამების მიბაძვით ყალიბდებოდა და მოქმედებდა ახალი „აკადემიები“, რომელიც ძირითადად ძველს იმეორებდა, მაგრამ არც დროის ახალ მოთხოვნებს ტოვებდა უყურადღებოდ.

ჩვენ, მეცხრეკლასელებს, რალა თქმა უნდა არ გვქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ხშირად და ისიც დამოუკიდებლად შევხვედროდით, მაგრამ მშობლების დახმარებით წელიწადში თოთხმეტჯერ მაინც ვიკრიბებოდით „მრგვალი“ მაგიდის გარშემო და ყოველთვის სადღესასწაულო განწყობილებით. ეს დღეები იყო: ცხრა მეცხრეკლასელის ცხრა დაბადების დღე, ახალი წელი, არჩევნები, რვა მარტი, პირველი მაისი და შვიდი ნოემბერი. ხალხს და განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომელთა უდიდესი ნაწილი კომკავშირელი იყო, თითქმის აკრძალული ჰქონდა თავისი წმინდა და სულიერი დამოკიდებულება ღიად გამოეხატა რელიგიური დღესასწაულებისადმი.

იმწელიწადს ცამეტი შეხვედრა უკან გვქონდა მოტოვებული და მეთოთხმეტესთვის „ვისწორებდით ჩონა-ახალუხებს“.

ახალ წელს უნდა შევხვედროდით ერთ-ერთი თანაკლასელის ოჯახში, ასე იწებოდა კენჭისყრამ. შეწუხდა და დატრიალდა ოჯახი – ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ვაჟთა მეორე სკოლის, უკვე საკმაოდ პოპულარული ცხრა მეცხრეკლასელის მიღება და გამასპინძლება. ოჯახის თავმა, უფროსმა „აჭამ“ აღრიანად დაი-

ჭირა თადარიგი და თავისი ორი ვაჟიშვილის (შუათანა „აჭამ“, უმცროსი „აჭამ“) დახმარებით მართლაც რომ დიდებული საახალწლო შეხვედრა მოგვიწყო.

სუფრის თამაღობა უფროსმა „აჭამ“ აიღო თავის თავზე (მაშინ ასე იყო და ახლაც მჯერა, რომ კაცი თავის ოჯახში თვითონ უნდა იყოს თამაღა, და არა ვინმე „კალისტრატოვიჩი“ ან „სილიბისტროვიჩი“, ვის საპატივისცემოდაც არის გაშლილი სუფრა), ღმერთი მაღალი ახსენა, მოგვილოცა ახალი წელი, მეღვინეები და მშვიდობა გვისურვა და გამოწრუპა მაღლიანი კახური ღვინით გალიპლიპებული თიხის ჯამი.

სუფრას ათნი ვუსხედით. სიმღერაც კარგი ვიცოდით და ცეკვაც, საღვთაღმადგინებლები ხომ მძივებოდათ გვქონდა აწყობილ-ჩამოწყობილი. იუმორი კი იმდენი გვახასიათებდა, რომ ალბათ ათ სუფრას მაინც ეყოფოდა. ჰო და, გახურდა ქეიფი, კაფია, სიმღერა, ცეკვა, ხუმრობა, ლექსი, საღვთაღმადგინებლო...

აივნიდან შემწვარ-მოხრაკულის სუნი შემოდიოდა, ღვინო ღოქში არ ჩერდებოდა, არემარეს ახმინებდა „მრავალჟამიერი“, „ღიამბეგო“, „ზამთარი“ და „...შავო მერცხალო“...

დადგა იმელებით სავსე ათასცხრაასორმოცდაცხრა წელი.

ღილის ოთხი საათი იქნებოდა, როცა უფროსმა „აჭამ“ ბოღიში მოგვიხადა – წავალ, ცოტას წავიძინებ, თორემ თქვენ რა გაგიძლებთო. მე მომმართა: „კლასის ორგანიზატორი შენა ხარ, მეღვინის ერთ-ერთი კანდიდატიც შენა ხარ, მამაშენის „აკადემიაც“ – გეტყობა რომ კარგად გაქვს გავლილი; მიდი და ჩემს მოსვლამდე ითამაღო“. თქვა ეს, გამოაშრო ერთი ჯამიც და მობოღიშებით გავიდა „წუთშესვენებაზე“.

დავრჩით ცხრა მეცხრეკლასელი ათი კაცისთვის გაწყობილ სუფრასთან. თითქოს მეორე სუნთქვა მოგვივიდაო, აჭრიჭინდა


იატაკის ფიცრები და მინებმა ატეხეს ზანზარი „ხევსურულის“, „ფერხულისა“, თუ „კინტაურის“ ცეკვით. ქეიფმა კულმინაციას მიაღწია, უკვე სადღეგრძელოების ლექსებად თქმზე ვიყავით გადასული, იმპლავრა სიმღერამ... ახლოვდებოდა განთიადი.

მათ, ვინც „აკადემია“ ჩანჩალით დაამთავრეს, ან ჯერ არ ჰქონდათ დამთავრებული, ვეღარ გაუძლეს „განსხვავებულ“ სასმისებს და რიგრიგობით მიიძინეს გვერდით ოთახებში. სუფრას ორნი-ღა შემოვრჩით მე და თურაშაული ვაშლივით წითელ-ლოყება და აცბაცად მობრწყინვალე, შეზარხოშებულთვალებიანი უმცროსი „აჭა“.

საოცრად მიმზიდველი და მომხიბვლელი იყო ყველაფერი – ცამდე ატყორცნილი ჭერი, გაწეულ-გადაწეული კედლები, მაგიდა – ედემის ბალი, ფანჯრის მინებს შეხიზნული თოვლის ფანტელები და ოდნავ ღია ფანჯრიდან შემოპარული დილის გრილი სიოს დამათრობელი სურნელი. ფეხს იდგამდა ახალი წელი.

ის-ის იყო მომდევნო სადღეგრძელოსთვის მომზადებული ყანწი დავუმიზნე ლოყებლაჟღაჟას და უფროსმა „აჭამაც“ მკვირცხლად შემოაბიჯა ოთახში და იქვე გაშეშდა განცვიფრებისგან: „ეს რა „ბრძოლა“ გადაგინდიაო“ და თვალით მიმანიშნა აქეთ-იქით მიიძინებულეებზე. თურაშაულლოყებიანმა თავს უშველა და დამტოვა პირისპირ უფროს „აჭასთან“.

უცბად წასვლა უხერხული იქნებოდა და მე და უფროსმა „აჭამ“ მამაშვილურად ვისაუბრეთ ცოტა ხანს, მერე კი მოწიწებით მივმართე ოჯახის უფროსს: „ჩემი წასვლის დროა, უკვე თენდება, სახლში მელიოდებიან-მეთქი“. ცხრა ჭიქა შევავე „კახურად“, ვადღეგრძელე რვავე თანაკლასელი და უფროსი „აჭა“, მადლობა მოვიხადე გულითადი მასპინძლობისათვის და სახლში



მივიპატიჟე მეორე დღისათვის „აჭათა“ ოჯახი (მამაჩემისგან მქონდა მიღებული ეს საპატიო დავალება). თამადადყოფილი განცვიფრებული შეჰყურებდა ცხრა გამოცლილ და ჯარისკაცე-ბივით ჩამწკრივებულ ჭიქას, სათქმელს ეძებდა და ვერ პოულობდა. ბოლოს „დავაჟკაცება“ მომილოცა, შემაქო და ეზოს ჭიშკრამდე მიმაცილა.

შორს არ იყო ჩვენი სახლი და მისვლა არ გამჭირვებია. პირიქით, სასიამოვნოც კი იყო სიარული: აღმოსავლეთით ცას მტრედისფერი დასდებოდა, ფეხებქვეშ უცნაურად ღრჭიალებდა ტენიანი თოვლი, ცივი ჰაერი შხუილ-შხუილით ასკდებოდა ღვინით გაჟღენთილ ფილტვებს, სადღაც შორს ჰარმონიულად ყეფდა ერთგული ძაღლი. სახლში სინათლე ჯერ კიდევ ენთო.

მეორე დღეს „აჭები“ გვეწვივნენ რამდენიმე მეცხრეკლასელთან ერთად. მამაჩემმა პირველად მომანდო სუფრის თამაღობა ჩვენს ოჯახში, თვითონ კი მწვადების შეწვას მიჰყო ხელი.

სანამ საახალწლო სუფრა ხორაგით გადაიტვირთებოდა და სუფრას შემოუსხდებოდა, უფროსმა „აჭამ“, იქვე, ფანჯრის რაფაზე შეამჩნია სურათების საოჯახო ალბომი, გადმოიღო, მუხლებზე დაიღო და გადაფურცლა.

ცოტა ხნის შემდეგ უფროსმა „აჭამ“, რაღაცის აღმოჩენით აღტაცებულმა, ხმამაღლა წამოიძახა: „აი, თურმე სად არის ძაღლის თავი ჩამარხული, მართლაც რომ ტიკჭორა ყოფილა“.

ალბომის გადაშლილ გვერდზე ჩემი სურათი იყო ჩაკრული – მთლიანად შიშველი ვზივარ დათვის ტყავზე გაგორებულ ღვინის ტიკჭორაზე. მაშინ ერთი წლისა ვყოფილვარ.

„ტიკჭორა“ – იმ დღიდან მეცხრეკლასელებმა პირველად მომმართეს ზედმეტი სახელით.

## ჩვენ ფიქრებში ხარ შემონახული

(ეძღვნება ქ. თელავის III სკოლას)

მახსოვს სექტემბრის ცა მშვიდი, ლურჯი,  
როცა შენ ჩვენი ბავშვობა განდეთ,  
როცა ოცნებით ნაზ კესანებად,  
შენ ლამაზ მკერდზე მიმოვიფანტეთ.

უნაზეს თრთოლვით და რუდუნებით,  
ჩვენთვის გზად ია დაგიფენია,  
ჩვენ გამო ხშირად მზის კიდეს სწვდები,  
ზოგჯერ მწარედაც დაგიკენესია.

კვლავაც ვლოცულობთ ღვთაებრივ ლოცვით,  
ჩვენ ფიქრებში ხარ შემონახული,  
საამაყოა შენი აწმყო და  
რა ზღაპარია შენი წარსული.

მოგვიხმე ზარით შენი ბარტყები,  
გვინდა ბოლომდე გულწრფელად გვეწამდე,  
მაღლობლები ვართ, რომ გაშლილ ფრთებით,  
ავკამზიანე მიწიდან ცამდე.

1987

## ალაზნის მუსა

(გ. ლეონიძის ხსოვნას)

„შენ ხარ ვენახი“ ქართული სიტყვის,  
პატარძელის იები ლურჯი,  
ბალი ნუშისა, ფშატის, ატმების,  
ქელი გომბორის მკვიდრი და ურჩი.

„შენ ხარ ვენახი“ აყვავებული,  
შნო და ლაზათი ქართული სუფრის,  
იორის ტალღა, მუსა ალაზნის,  
სვეტი ნათლისა, განგება უფლის.

როგორ უმღერდი კახეთს მაღლიანს,  
როგორ სათუთად, თბილი ბუბუნით,  
სადა ხარ კაცო – ივრის მირონით,  
ამაღლებული ლექსთა ღულუნით.

ეჰ, შევარცხვინე მე ის აგვისტო,  
წყნეთში რომ სუნთქვა შეუკრა მუხებს,  
რა ვუთხრათ ივერთ, კახეთს რა ვუთხრათ,  
ნესტანს, თინათინს, თბილისის ქუჩებს.

ცურტაველიდან დღევანდლობამდე,  
ეკლიან გზებზე ბევრი ვაშენეთ,  
ვერ წარმოვიდგენთ – ქართული სიტყვა  
რა უნდა იყოს გოგლას გარეშე.

## მეზის ძალაქი

გომბორის ქედზე მკვიდრად შეფენილს,  
მზის სხივი ადგას ერეკლეს ქალაქს,  
მკერდმოქარგული კახეთის გული,  
ათას იღუმალ ოცნებას მაღავს.

ჩაფიქრებულა ჭადარი ბრძენი,  
ალაზანზე კი ტალღები ღელავს,  
სულხანიშვილი ჰანგების მუხას,  
ძველი თელავის აწმყოში ხედავს.

სასახლის კარზე ხმატკბილი მგოსნის –  
ბესიკის ფიქრებს ყორანი სერავს,  
ნადიკვარზე კი მოუწყენია  
რჩეულიშვილის მკერდთეთრა მერანს.

ვანვახიშვილის ციხე-კომკებთან,  
ყელმოღერილი ვარდები ღელავს,  
ახვლედიანი ჯადოსნურ ფუნჯით,  
ქუჩებს უქარგავს მშობლიურ თელავს.

(ტექსტი საფუძვლად  
დაედო სასიმღერო მუსიკას).



## მოსველ სიკეთით

(ეძღვნება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის,  
პროფესორ ჯემალ ციციშვილის ხსოვნას)

იმ ღამეს თურმე თოვდა ბათუმში,  
თოვდა სიუხვით, თოვდა, ბარდნიდა,  
სწორედ იმ ღამეს მოხველ ამქვეყნად,  
მოხველ სიკეთით, როგორც ზღაპრიდან.

\* \* \*

მოხველ სიკეთით. მერე თბილისში  
სიცოცხლის წმინდა სვეტი აღმართე,  
რამდენ ქალს სიტყვა „დედა“ აჩუქე,  
რამდენი ჩვილი სანთლად აანთე.

\* \* \*

იმ დღეს კი თელავს ნუშის ყვავილი,  
ათოვდა ნაზად, თეთრი ფერებით  
და გაცილებდა მეფის ქალაქი,  
ჩუმი ცრემლებით, ჩუმი ფერებით.

(ტექსტზე შექმნილია სასიმღერო მუსიკა).

## სიყვარულის თაიგული

(თელავის ინტელიგენციის ერთ-ერთ საუკეთესო  
წარმომადგენელს, მათიკო ჩხუბიანიშვილს)

დილა არის, ცა მაღლიდან  
დედამიწას ცვრით ბანს სახეს  
და ბაღში ვარდის რტოებს  
ცელქი სიო ნაზად არხევს.

მომეწონა ის ვარდები,  
მზის სხივებით დაისრული,  
გადავწყვიტე მომეკრიფა  
და შემეკრა თაიგული.

მოგკრიფე და მოვეფერე,  
მოსართმევად შევკარ კონად,  
ოცნებას კი ღავესესხე,  
გრძნობის ძაფი – შესაკონად.

უნებურად ლამაზ ვარდებს,  
თან გამოჰყვა ჩემი გულიც...  
გთხოვ მიიღე მეგობრისგან,  
სიყვარულის თაიგული.

## სამ საუკუნეს უახლოვდება

(თელავის №1 ისტორიულ სკოლას)

ალაზნის სივრცეს გაჰყურებ ლაღად,  
გვირგვინად გადგას კავკასიონი  
და რეკავს დედო, გუგუნაზარი,  
ვით ზარი გრემის, ზარი სიონის.

ყოველ შენ აგურს სიმღერა ჰქვია,  
ცა ლაჟვარდი გაქვს და დიდებული,  
აქ მზე ნებივრობს ჭადრის ფოთლებზე  
და ქონგურებში ჩასხივებული.

მეფე ერეკლემ აღმართა სვეტად,  
გზა სინათლისა ამ სვეტით მოდის,  
გაიოზ რექტორს შენ სამრეკლოდან,  
მოუბნევია ზურმუხტი ცოდნის.

დიდება შენდა, მრავალჟამიერ,  
დიდება შენდა – ქება და ვაშა,  
კვლავაც გაგვიზრდი: ქეთინოს, ნინოს,  
რუსუდანს, ვახტანგს, ბუმბერაზ ვაჟას.

დაგვილოცნიხარ შენი ყლორტებით,  
მძლავრი ფესვებით, ლურჯი მთა-ველით,  
სამ საუკუნეს უახლოვდება,  
მარად უკვდავი, ვით რუსთაველი.

*(ლექსის ტექსტზე შექმნილია მუსიკა  
სკოლის კურსდამთავრებულის,  
კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის მიერ).*

## ვარ თელაველი

არ მიცეკვია სხვის ხმაზე,  
არც არავის ვთხოვ ძველ ვალებს,  
ვამაყობ – ყოველ სისხამზე,  
გუცქერ დათოვლილ მწვერვალებს.

წინაპრის კვალზე სწორებით,  
ბედს ვუმორჩილებ ღვთის ნებას,  
დადინჯებული ცხოვრებით,  
კვავარ ალაზნის დინებას.

ნიავი ცივ-გომბორიდან,  
საამო ამბავს მპირდება,  
სალამს მოვუძღვნი გორიდან,  
გულს მეტი როდი სჭირდება.

მიწა ეკუთვნის სად უფრო,  
„ალავერდს“ – ღვთიურ რაკეტას,  
ვდღეგრძელობ ვიდრე საწუთრო,  
სულის სარბიელს ჩაკეტავს.

„მამიყიანთ“ აღმართში,  
მუხლები გადამიღვლია,  
დარიან დღეს თუ ავდარში,  
„ნადიკვარზედაც“ მივლია.

„ზუზუმბოელი“ ბიჭების  
კრივიც მომწონდა კაცური,  
ძმობაში როდი ვიჭრები,  
არც მტრობა ვიცი, არც შური.

ვაზია ჩემი სისხლძარღვი,  
ერეკლეს ფარი – გულია,  
დღედაღამ ამას ვიძახი:  
„თელავი სასწაულია“.

## ერეკლე

მძიმე წარსულსაც აქვს სიდიადე,  
ელავს ერეკლეს ხმალი,  
ბრძოლით იცხოვრა და სიკვდილამდე,  
იმედი ჰქონდა ხვალის.

არად გიდევდა პირადულ ელფერს,  
სამშობლო ენთო კერპად  
და მოწოდებით უდიდეს მეფეს,  
„პატარა კახი“ ერქვა.

ბედმა არგუნა ჟამი დაგული,  
გამყიდველობა ძმისაც,  
თავი წაჰკვეთა – ჩვენი მამული,  
საჯიჯგენად სურდა ვისაც.

მომცრო ოთახში იშვა მეფურად,  
აქვე დალია სული,  
თავზე კაც-მეფის ქუდი ეხურა,  
პერანგი ჯაჭვით წნული.

დაასაფლავეს სვეტიცხოველში,  
მკერდზე დაადეს ფარი,  
მას შემდეგ რეკავს ჩვენში, ყოველში,  
მეფე ერეკლეს ზარი.

## ალაზნის ჭალაში

ღამე არის მოკიაფე – დღესავით,  
ალაზნთან ვღგავარ ეულ ხესავით,  
წყლის სარკეში მთვარე ცურავს გედივით,  
ცის კონტური მოჭიმულა ღვედივით.  
ბებერ მუხას გაუმლია „ხელები“,  
გაუწელავს აბლაბუდას ქსელები.  
სანთელივით ჩამოქნილა ტირიფი,  
ჩაძირული ანარეკლით – პირისპირ.  
თევზი როკავს ცეკვა-ხტუნვით, ტყაპანით,  
ბაყაყები ერთობიან ყაყანით.  
ჩვეულებრივ გატვრენილან ბუები,  
ნებივრობენ ხვადები და ძუები.

ჩაქუფრული გამობობლდა ღრუბელი,  
ჩაქრა მთვარით სულჩადგმული ღუმელი.  
გულზე სევდა შემომაწვა მზაკვარი,  
და ვინანე, რომ არა ვარ მხატვარი.

## კახეთის უმოდგომა

თავაწყვეტილად წვიმს,  
ღრუბლებს შეუკრავთ წრე,  
ბადრო აღარ ჩანს მზის,  
სწრაფად ილევა დღე.

აღარ ესვრიან ქვებს,  
ხის ქვეშ შეყუჟულ ჩიტს,  
ბაბო თათარას თქვეფს,  
ბავშვი ილოკავს თითს.

ქვევრში მაჭარი ღულს,  
მარნის სურნელი სდის,  
გარეთ კი ისევ ქუნს,  
გარეთ კი ისევ წვიმს.

## ალაზანი – დედამდინარი

მე რომ შენი ვარ – მქონია ბედი,  
დედამდინარე შენა ხარ ჩემთვის,  
არა იმიტომ – იორზე მეტი,  
ნაკადული ან მდინარე გერთვის.

შენ რომ ჩემი ხარ – მქონია ბედი,  
დედამდინარე ჩემთვის შენა ხარ,  
არა იმიტომ – ღურუჯზე მეტი  
შენში წილი აქვს ხევს და შენაკადს.

დედამდინარედ შენ მყავხარ ბედად,  
ასაკით ბრძენი, ასაკით ძველი,  
არა იმიტომ, რომ ჩელთზე მეტად,  
ხარ წყალუხვი და ხარ უფრო გრძელი.

დედამდინარედ გცანი სიყრბეში,  
(ასე მოგნათლეთ უბნის ბაღლებმა)  
რადგანაც ცურვა, ყვინთვა სიღრმეში,  
მასწავლეს შენმა დინჯმა ტალღებმა.

## 800 წლის??

(ქ. თელავის ერთ-ერთ ცენტრალურ  
უბანში დგას უზარმაზარი ჭადარი)

ბრვე თელავის შუაგულში  
დგას ფესვმძლავრი ჭადარი,  
არ მინახავს მისი მსგავსი,  
ტოლფასი თუ სადარი.

ბავშვობიდან მანცვიფრებდა,  
საოცარი ასაკი...  
მის ტოტებქვეშ სიტყვა უთქვამს,  
თვითონ სულმნათ აკაკის.

მასსოვს, ერთხელ დიდმა პაპამ,  
საგანგებოდ მახარა:  
„რვაასი წლის არის ეს ხე,  
ვფიცავ ამ ჩემ ჭადარას“.

დღესაც – თუ გსურს თელაველი,  
სიამაყით აღივსოს,  
შეეკითხე, – გიპასუხებს  
რვაასი წლის არისო.

გულით მინდა (სურვილი მაქვს),  
უკვდავებას გადარო...  
ველარ გახდი ცხრაასი წლის  
800 წლის ჭადარო!?

## საბას სარდაფში

(საბა სეხნიაშვილის ხსოვნას)

ღრმა სარდაფში, გრილ სარდაფში,  
მიგვიწვედა ბიჭებს გული,  
(რიგიანად წვერ-ულვაში  
არც კი გვქონდა ამოსული).

ჩვენ „ჩვენი“ დღე გვეგულვოდა  
და ველოდით როგორც შარბათს,  
პაპა საბა გვლებულობდა,  
კვირის ბოლოს, მხოლოდ შაბათს.

„მსუბუქ“ ჯიბეს არ ვჩიოდით,  
როდი გვქონდა მაღა დიდი,  
მოწიწებით ჩავდიოდით,  
უფროსების ხათრით, რიდით.

მოყვრად გვთვლიდა მისულებად,  
ხელს გვართმევდა როგორც ტოლებს  
და ღიმილით გვისურვებდა  
ოქროს მედლებს, ლამაზ ცოლებს.

მერე იყო გზა გახსნილი,  
(რას მიქვია დილის ხაში),  
კასრზე ეწყო: კიტრის მწნილი,  
წიწმატი და შოთ-ლავაში,

მონატეხი გუდის ყველის,  
სამარილე ტენიანი,  
თიხის დოქი ღვინით სველი,  
ხაჭაპური ფენიანი.

პაპა საბა „სუფრის“ თავში,  
დაჯდებოდა, როგორც ღმერთი,  
რკინა ჟღერდა დაბალ ხმაში,  
იწყებოდა „ალავერდი“.

გვასწავლიდა: სუფრის ადათს,  
ღვინის დასხმას, სიტყვის სმენას,  
საფუძვლიან თქმას და კამათს,  
რაინდობას, ჭირთა თმენას,

მომავალთა მოსაწონად,  
აშენებას და კეთებას,  
წასულების მოსაგონად,  
პურზე ღვინის დაწვეთებას,

მეზობლების, მეგობრების,  
დაფასებას, შეყვარებას,  
საცხოვრისი შარავნების  
გარჩევას და შედარებას.

არც სიმღერა გვაკლდებოდა,  
თავს ვირთობდით ტაშ-ფანდურით,  
„შაბათობა“ მთავრდებოდა,  
მოგუდული ქართლ-კახურით.

დავვაჟკაცდით ჩვენ დროულად,  
(ასეთია ჟამთა სრბოლა)  
სკოლის კურსთან ერთდროულად,  
დავამთავრეთ საბას „სკოლაც“.

## ჩემო კახეთო

თვალწარმტაცი მთა-ველი  
გულში ჩასახატია,  
მიწის ყველა მტკაველი  
სალოცავი ხატია.

ჭავჭავაძის მამული  
ბაღნარი ედემია,  
იყალთოს შენახული  
შოთას აკადემია.

მხიბლავს შეუსადარი,  
ველი ალაზანისა,  
ალავერდის ტაძარი  
საროდაყრილ ტანისა

დგანან ციხე-ბურჯები,  
გასახარად გულისა,  
მრავლისმნახი მუნჯები  
ნაწამებ მამულისა.

განთქმულია: ბარაქით,  
გრემის დღესასწაულით,  
გურჯაანის „წარაფით“,  
ყვარლის „ქინძმარაულით“,

ქალღმერთ ნატო ვაჩნადით,  
გოგლას ლექსთა მძივებით,  
შემოდგომის ბაქმაზით,  
ვაზის უხვი მწკრივებით,

ფართო მკერდით, მხნე გულით,  
(ყალყზე შემდგარ რაშივით),  
ბევლად გაცოცხლებული  
მამა მახარაშვილით,

წამალ-მალამოს დარი  
ტალახით ახტალისა,  
ტყეში მწიფე მოცხარით  
მწვანით მთის თუ ბარისა,

ლაგოდების ნაკრძალით,  
ოქროსფერი კალოთი,  
ულეველი საგზალით,  
თორღვას მთის აბანოთი.

ბულბულობა გვწყურია  
ვანოს, „დედას ლევანის“,  
ხმაში რომ ჩასწურია  
„რქაწითელის“ მტევანი.

რა ტურფა ხარ, რა კარგი,  
გარჯა – ბრძოლის ბელადი,  
ერეკლეს ხმლით ნაქარგი  
შილდელის ხმით ჟღერადი

ბევრჯერ მოიწადინეს  
შენი დაბორკილება,  
ცრემლი ბევრჯერ გადინეს,  
სცადეს დამორჩილება,

მაგრამ ქედი უდრეკი  
ვერა, ვერ მოგიხარეს,  
მტერი ბმო და მუდრეგი  
ვერასდროს გაიხარებს.

გულში ჩასახატია  
თვალწარმტაცი მთა-ველი,  
სალოცავი ხატია  
მიწის ყველა მტკაველი.

## კურდღელაურის დილა

მთის წვერზე გადმონათა  
მზის ბადრომ სახეკრიალამ,  
ორთქლის ქულები აღმართა,  
ცვარ-ნამი ააბრჭყვიალა.

კრუხი წიწილებს მოშორდა,  
გარეკა ჭია-ლუაზე,  
იქვე ჭრელხალა ბოჩოლა,  
კუნტრუშებს თავის ჭკუაზე.

შეთამაშა მხარმკლავი,  
მამალმა ფერადფრთიანმა.  
თონე აავსო ნასხლავით,  
დიაცმა წინსაფრიანმა.

დიასახლისის ნახვაზე,  
გოჭებმა მორთეს ჭყვიტინი,  
აბლაბუდების ნახაზებს  
ბუზები თვლიან ქვითინით.

გარეთ კამეჩის ბლავილმა,  
არად ჩათვალა აისი,  
წყალს გამოღმა და წყალს გაღმა  
მენახირეთა ხმა ისმის.

ჩიტებმა იწყეს გალობა,  
(შინაურმა თუ ტყიურმა)  
არტალის ძვალი გალოკა,  
ნაგაზმა კავკასიურმა.

ქალმა მოუხმო მეზობელს,  
მოდო, დატკბიო ყურებით  
და მოეფინა მთელ სოფელს  
სურნელი შოთიპურების.



## დეკემბრის ღამე თელავში

ქრონოლოგიური იდგა დეკემბერი,  
ზამთარი ხლართავდა სამთვიან კონტურებს,  
გაუკრთათ ღამეში მწვანე დეკებს ფერი  
და მთვარე მოსავდა სასახლის ქონგურებს.

ღამის ცა მეჩვენა ძირს ჩამოშვებული,  
(ცა – შეყვარებული ვარსკვლავთა კრებულზე),  
ეს ალბათ იმიტომ – თელავი ქებული  
და მეფის სასახლეც დგას შემალლებულზე.

ოცნების მოწოლას გონება ვერ უძლებს:  
„ხელით შევხებოდი მნათობებს კაშკაშას,  
წელზე შემომერტყა „სატურნი“ ფერადი,  
ან გულში ჩამეკრა „ვეშაპი“ ფაშფაშა.

და მაინც ოცნებად კვლავ დამრჩა აფრენა,  
ვერ დამლო პატივი ღამემაც თელავის,  
(მე აუხდენელის ვინატრე ახდენა),  
ბრალსაც კი ვერა ვღებ ვერც თავს, ვერც ვერავის.

ოცნება ახდება, როცა ეს ღმერთს უნდა,  
(სახე რად ემანჭვით მეფეთ და ფარეშებს)?  
თუკი რაც ვინატრეთ – ყოველი შესრულდა,  
რალაა სიცოცხლე ოცნების გარეშე?!

## კახეთში მიმყავს სტუმარი

იყალთოს გავცდი, მიჰქრის ავტო შმაგი ჭენებით,  
ალაზანს, „თორღვას“, კავკასიონს გასწვდა ოცნება,  
გავანავარდე, ვამზიურე ლალი გენები...  
სტუმარი მიმყავს, ტურფა კუთხით გასაოცებლად.

თეთრადელვარე, ცადატყორცნილ ალავერდს ვხედავ,  
(რჩეულიშვილის მიდგას თვალწინ „ალავერდობა“),  
მინდორში ვიდაც უბელო ცხენს აზარტით ხედნავს,  
ლაგამს უმოკლებს, მის სიგიჟეს აღარ ენდობა.

მთელი დღე ვყვები მისთვის უცხოს, საამოს ჩემთვის,  
როგორ ვიბრძოდით, რა შევქმენით, რა დაიწერა,  
სამრეკლოს ზართა მძლავრი ექო საღამოს ერთვის,  
სტუმარს შევხედე, – მან პირჯვარი გადაიწერა.

## მონატრება

მომენატრა „ნადიკვარის“  
მოჩურჩულე ნიავი,  
„ახალბაღში“ მწვანე მოლზე  
თავუკულმა ბზრიალი,  
გრემის ციხის ქონგურების  
დილის მზეზე ციალი  
და ალაზნის ნაპირებზე,  
მწვადის ცეცხლზე ტრიალი.

დათა ძიას სამჭედლოში,  
დიდი უროს გრიალი,  
პაპისეულ ეზო-კარში  
წისქვილის წყლის ჩხრიალი,  
კახელ გოგოს გამჭოლ თვალთა  
მომნუსხველი ბრიალი  
და ერეკლეს სასახლეში  
ქართულ დროშის ფრიალი.

## სტუმრად თელავში

საპურმარილოდ მთელი გუნდით ვეწვიეთ თელავს,  
კახელ მასპინძლებს წარბი წუთით არ შეუხრიათ,  
აქაც ჭირს, მაგრამ არვინ ვიშობს, არავინ ღელავს,  
ცხოვრების წესი, რახანია, არჩეული აქვთ.

შემოგოგმანდა კერის დედა თვალეზბრიალა,  
არვის დაუთმო მადლცხებული სუფრის გაშლა მან,  
იყო სიმღერა, ჯამი, ყანწი, ხოლო გვიანდა,  
შემოგვაშველეს ოხშივართ ნაღდი ხაშლამა.

დილით კი „ჭაჭით“ ჩავვიწმინდეს ყელი გამშრალი,  
საბარგულები ამოგვივსეს კალათ-ვედრებით,  
ღმერთო, გვიმრავლე ქვეყანაში კაცი მაშვრალი,  
ღმერთო, გვიცოცხლე კახელები, შენ გვედრები.

## თელაველ თანატოლებს

(მათ, ვისი ბავშვობა დაემთხვა  
მეორე მსოფლიო ომის და შემდგომი  
პერიოდის მძიმე წლებს).

ცივ-გომბორის მთის კალთებზე  
გაატარეთ ბავშვობა,  
არ იცოდით თუ რა იყო,  
საუზმე და ვახშობა.

ხუთიანებს ღებულობდით,  
ფარღალაღა სკოლაში,  
პირველობას არა სთმობდით  
ფეხბურთსა თუ სროლაში.

გაჭირვებულს მხარში მუდამ,  
უდგებოდით სურვილით,  
სიცივეში ყინვა გკლავდათ,  
სიცხეში კი წყურვილი.

ჭირთათმენა გამშვენებდათ,  
იჩემბდით ვაცობას,  
ვინცა ხართ და ვინც აღარ ხართ,  
აფერუმ, თქვენ კაცობას.

## ალაზნის პირზე

ალაზნის პირს ჩავუყევი,  
ხეს ვეძებდი ჩრდილიანს.  
(თევზის ჭერა ბევრს იტაცებს,  
უჩინოს თუ ჩინიანს).

ძმაკაცების ჯგუფს წავაწყდი,  
სუფრას შლიდნენ მდუღოზე,  
კარგი ვსვით და კარგი ვჭამეთ,  
ყველამ ჩვენ, ჩვენს გემოზე.

მზის ჩასვლისას დიდი ყანწით,  
გადმოვიდნენ ალავერდს,  
გახურებულ შამფურებზე,  
თხის ბარკლები ააგეს.

მერე მთვარეს „შემახვედრეს“,  
მოციაგეს, ტაშტის დარს,  
თევზის სადღეგრძელო მასვეს,  
მუხლებამდე წყალში მდგარს.

## მენატრება ჩემი ქნელი ბავშვობა

ლახტის „ცხელ“ წრეში პირველობას  
ვუთმობდი არვის,  
შიშველ წვივებზე ქამრის წვერის  
ვთვლიდი ნასუსხარს,  
არ მაწუხებდა სამკაული  
ვერცხლის თუ ქარვის,  
ხშირად მაჭმევდნენ მჭადის ნატეხს  
ნათხოვ-ნასესხარს.

უბნების ჩხუბში უდენიათ  
სისხლი ცხვირიდან,  
მანსოვს გატეხილ კოკისთვისაც  
მცემეს გულდაგულ,  
გადმოვვარდნილვარ თოხარიკი,  
ლურჯა ვირიდან  
და მაინც ვერვინ ვერ მნახავდა  
მწყრალს და გულ დაგულს.

ცრემლი მდიოდა, თუ მჩაგრავდნენ  
დიდები ჩემზე,  
როცა სუფრასთან არ მიშვებდნენ  
მტკიოდა გული,

ვჩილიკაობდი, ვბურთაობდი  
თაკარა მზეზე,  
ხელში მეჭირა განუყრელად  
თოხი და ცული.

ახლა ფულიც მაქვს საკმარისი,  
საჭმელ-სასმელიც,  
ალარც ვტირი და არ მჭირდება  
ცრემლის გამრობა,  
ვდგავარ მწვერვალზე, ძირს გავყურებ  
როგორც მთამსვლელი...  
ტკბილ სიზმარივით მენატრება  
ჩემი ბავშვობა.

## საბრძოლო

რედაქტორისაგან .....	4
ვანტანგ ჭანკოტაძის მოთხრობები	
ალმასა .....	5
მილიციონერი ბერდია .....	19
კაციანთ მიხა .....	26
სიმაფორა .....	32
ტიკჭორა .....	35
დარეჯან ჭანკოტაძის ლექსები	
ჩვენ ფიქრებში ხარ შემონახული .....	45
ალაზნის მუხა .....	46
მეფის ქალაქი .....	47
მობგედი სიკეთით .....	48
სიყვარულის თაიგული .....	49
სამ საუკუნეს უახლოვდები .....	50
ვანტანგ ჭანკოტაძის ლექსები	
ვარ თელაველი .....	51
ერეკლე .....	52
ალაზნის ჭალაში .....	53

კახეთის შემოდგომა .....	54
ალაზანი - დედამდინარე .....	55
800 წლის?? .....	56
საბას სარდაფში .....	57
ჩემო კახეთო .....	59
კურდღელაურის დილა .....	62
დეკემბრის ღამე თელავში .....	64
კახეთში მიმყავს სტუმარი .....	65
მონატრება .....	65
სტუმრად თელავში .....	66
თელაველ თანატოლებს .....	67
ალაზნის პირზე .....	68
მენატრება ჩემი ძნელი ბავშვობა .....	69